ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N45

2023 წლის **31** ივლისი
ქ.ქობულეთი

**ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირის მეორე შესახვევისათვის ცნობილი ქართველი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის დურსუნ ბალაძის სახელის მინიჭების თაობაზე გამონაკლისის დაშვებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის N22 დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1.ცნობილი ქართველი ფიზიკა -მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის დურსუნ ბალაძის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი დაშვებულ იქნას გამონაკლისი და მიეცეს თანხმობა დაწყებულ იქნას შესაბამისი პროცედურები ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირის მეორე შესახვევისათვის ცნობილი ქართველი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის დურსუნ ბალაძის სახელის მინიჭებაზე.

2.დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიას (ლ.შაქარიშვილი) ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირის მეორე შესახვევისათვის ცნობილი ქართველი ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის დურსუნ ბალაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს (ნ.თხილაიშვილი);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი